

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

### ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2020 წლის ანგარიში

(შეკრების თავისუფლება)

#### სექცია 2. სამოქალაქო თავისუფლებების პატივისცემა

##### ბ) შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

კონსტიტუცია და კანონმდებლობა განამტკიცებს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებებს. მთავრობის მხრიდან ამ უფლებების პატივისცემა არათანმიმდევრული იყო.

##### შეკრების თავისუფლება

ზოგადად, კონსტიტუცია და კანონმდებლობა განამტკიცებს შეკრების თავისუფლებას. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებმა გამოხატეს წუხილი ზოგიერთ საკანონმდებლო დებულებასთან დაკავშირებით, მათ შორის იმ მოთხოვნასთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვა ორგანიზაციებმა 5 დღით ადრე უნდა გააფრთხილონ ადგილობრივი ხელისუფლება საჯარო ადგილას შეკრებამდე, რაც გამორიცხავს სპონტანურ დემონსტრაციებს. სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, პოლიცია ხანდახან ზღუდავდა ან არაეფექტურად მართავდა შეკრების თავისუფლებას.

კოვიდ-19-ის პანდემიასთან საბრძოლველად ხელისუფლებამ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა 21 მარტიდან 22 მაისამდე. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, 21 მარტს პრეზიდენტმა მიიღო დეკრეტი, რომელმაც შეზღუდა შეკრების თავისუფლება. 22 მაისს პარლამენტმა მიიღო „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ შესახებ კანონში ცვლილებები, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას 15 ივლისამდე მიანიჭა გადაადგილებისა და შეკრებების შეზღუდვის და საგანგებო მდგომარეობის გარეშე სხვა ზომების მიღების უფლებამოსილება კოვიდ-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. 14 ივლისს, პარლამენტმა ცვლილებები გაახანგრძლივა წლის ბოლომდე. 29 დეკემბერს, პარლამენტმა 6 თვით გაახანგრძლივა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ შესახებ კანონის ცვლილებები, რითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას 2021 წლის 1 ივლისამდე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და საპარლამენტო კონტროლის გარეშე ადამიანის უფლებების შეზღუდვის ნებართვა მისცა. საგანგებო მდგომარეობის დროს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სერიოზული შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

იმ პირობებში, როდესაც წლის განმავლობაში რამდენიმე აქცია გაიმართა, დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან შეკრების თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები. მაგალითად, სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს 8 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გარეთ პოლიციის მიერ წყლის ჭავლის გამოყენება დემონსტრანტების დასაშლელად მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა სცადეს კომისიის შენობის გარშემო არსებული რკინის ღობის გარღვევა. სახალხო დამცველმა და საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ

გამოყენებული ძალა არაპროპორციულად შეაფასეს. ხოლო საიამ მას არალეგიტიმური უწოდა და მიუთითა ვიდეო კადრებზე, რომელიც აჩვენებდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წლის ჭავლი პირდაპირ იყო დამიზნებული მშვიდობიან დემონსტრანტებზე, რამაც შედეგად დაზიანებები გამოიწვია.

აღნიშნა, რომ შეკრების თავისუფლების შესაზღუდად პოლიცია აგრძელებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებას. მაგალითად, 10 დეკემბრის ანგარიშში საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ განაცხადა, რომ სახელმწიფო უწყებები ჩაერთვნენ თვითნებურ ადმინისტრაციულ დაკავებებში 28 ნოემბრის აქციისას. 19 ივნისის ანგარიშში საიამ განაცხადა, რომ პოლიციამ კოდექსი 2019 წლის ივნისში დემონსტრანტების მასობრივად დასაკავებლად გამოიყენა. ასოციაციამ აღნიშნული აღწერა, როგორც „მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა“.

მთელი წლის განმავლობაში სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობდნენ პარლამენტის გარეთ გამართულ 2019 წლის ივნისის პროტესტზე საპოლიციო რეაგირებისა და პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ნაკლებობის შესახებ. პროტესტი მშვიდობიანად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ზოგიერთმა დემონსტრანტმა სცადა ძალის გამოყენებით პარლამენტის შენობაში შესვლა. პოლიციამ შემდეგ პროტესტის დასაშლელად გამოიყენა რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გაფრთხილების გარეშე, რამაც, სახალხო დამცველის აპარატის თანახმად, 200-ზე მეტი პირის დაზიანება გამოიწვია.

2020 წლის აპრილში, 2019 წლის შესახებ გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშსა და 20 ივნისის შესახებ ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატმა განაცხადა, რომ აქციის დასაშლელად გამოყენებული ძალა ვერ იქნებოდა მიჩნეული პროპორციულად. აპარატმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პოლიციამ კანონის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ არ გააფრთხილა დემონსტრანტები და ადგილის დასატოვებლად არ მისცა ადეკვატური დრო ძალისა და სპეციალური აღჭურვილობის, მაგალითად, რეზინის ტყვიების გამოყენებამდე. ასევე ხშირი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკა, რომ პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალა. ივნისის ანგარიშში საიამ დაასკვნა, რომ 2019 წლის ივნისის მოვლენები ოფიციალური ორგანოების მიერ გამოუძიებელი რჩებოდა და აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აქციის დასაშლელად „ძირითადად არაკანონიერი და არაპროპორციული ძალა, ხოლო წინასწარი დაკავების იზოლატორში მყოფი ინდივიდების მიმართ „გადაჭარბებული და არააუცილებელი ძალა“ გამოიყენა. ასოციაციის ცნობით, პოლიცია ზოგიერთ ინდივიდს დაკავებისას და დაკავების მერე არასათანადოდ მოეპყრო.

2019 წლის ივნისის მოვლენების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური მისიების დეპარტამენტმა ნაკლებად ლეტალური აღჭურვილობის არსენალიდან ამოიღო რეზინის ტყვიების გამოყენება.

2019 წლის ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური მისიების დეპარტამენტის ერთ ოფიცერს ბრალი წაუყენა

მშვიდობიანი დემონსტრანტების შეგნებულად დამიზნებისათვის, ხოლო კრიმინალური პოლიციის ორ ოფიცერს - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის - ერთს დაკავებისას დაკავებულის ცემისათვის და მეორეს წინასწარი დაკავების იზოლატორში დემონსტრანტის ცემისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმები განიხილა ცალცალკე. სამივე ბრალდებულს ბრალი ედებოდა ძალადობის ან იარაღის გამოყენებით უფლებამოსილების გადამეტებაში - დანაშაული დასჯადი 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით და 3 წლამდე საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით. სამივე ბრალდებული გათავისუფლდა გირაოთი და მათი სასამართლო პროცესები წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

31 მარტის სპეციალურ შუალედურ ანგარიშში სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ პროტესტის დაშლისას სამართალდამცავთა ქმედებების გამოძიება პროკურატურის მიერ „ჯერ კიდევ შორს იყო სიმართლის დადგენისგან“. სახალხო დამცველის აპარატმა გენერალურ პროკურატურა გააკრიტიკა გამოძიების არადროულობის და არაყოვლისმომცველი ხასიათის გამო, მათ შორის მოვლენების სისტემური სამართლებრივი ანალიზის განუხორციელებლობის, უფროსი სახელმწიფო მოხელეების (მაღალი თანამდებობის მქონე პირების) პასუხისმგებლობის ობიექტურად და სრულყოფილად შეუფასებლობის და სახალხო დამცველის რეკომენდაციების არასრულყოფილად იმპლემენტაციის გამო.

2019 წლის მოვლენებთან დაკავშირებით განხორციელდა 3 სამართალდამცავის სისხლისსამართლებრივი დევნა. ივნისის მდგომარეობით 17 აქტივისტი იყო ბრალდებული პროტესტის დროს ძალადობაში მონაწილეობის საფუძვლით. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციელებთან შედარებით ბევრად უფრო მეტი აქტივისტი დაშავდა, საიამ და ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოთქვეს შემფოთება პროკურატურის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით და სამართლებრივ დევნაში არათანმიმდევრულობას „შერჩევითი“ უწოდეს ივნისის ანგარიშებში.

24 ივნისის ანგარიშში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ყურადღება გაამახვილა აქტივისტების, მათ შორის მორის მაჩალიკაშვილის, წინააღმდეგ რამდენიმე სისხლისსამართლებრივ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის პრობლემებზე. მაჩალიკაშვილი, მალხაზ მაჩალიკაშვილის ძმისშვილი, დააკავეს 20 ივნისის პროტესტების შემდეგ და ბრალი წაუყენეს „სამთავრობო მოხელეების წინააღმდეგ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის“ საფუძვლით. იგი მანამდე დაკავებული იყო 2019 წლის ივლისში. საგამოძიებო უწყებების მიერ ვიდეოს გამოქვეყნების მიუხედავად, რომელშიც მორის მაჩალიკაშვილი თითქოს პოლიციელებს აწვებოდა, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განაცხადა, რომ ვიდეოში არ ჩანდა, რომ მორისი პოლიციის წინააღმდეგ ძალადობაში მონაწილეობდა. მალხაზ მაჩალიკაშვილისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის მტკიცებით, მორისი უბრალოდ ცდილობდა ბრბოდან გასვლას. მათი განცხადებით, ხელისუფლება იყენებდა მორისის დაკავებას მალხაზ მაჩალიკაშვილზე ზეწოლისათვის, რათა მას თავი დაენებებინა მისი შვილის მკვლელობის გამოძიების მოთხოვნის კამპანიისათვის. 6 თებერვალს სასამართლომ მორის მაჩალიკაშვილს დაუმტკიცა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც მას სასჯელის სახედ ორწლიანი პირობითი მსჯავრი განესაზღვრა.

სახალხო დამცველის ცნობით, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექს ინდივიდების წინააღმდეგ ძალადობა ოჯახსა თუ საჯარო სივრცეში იყო სერიოზული პრობლემა, რომელზეც ხელისუფლებას არ ჰქონია სათანადო რეაგირება. მან მაგალითად დაასახელა ჰომოფობიური ჯგუფების მიერ 2019 წელს მშვიდობიანი LGBTI აქტივისტების შეკრების თავისუფლების ძალადობრივად შეზღუდვის საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების განუხორციელებლობა. ოქტომბერში სახალხო დამცველის ოფისს ჰქონდა შეხვედრა თბილისი პრაიდის წევრებთან და სახელისუფლებო ორგანოებთან რათა გახენილათ ზაფხულში თბილისი პრაიდის ოფისზე ვანდალური თავდასხმის მრავალი შემთხვევა. შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მტკიცებით პოლიციის მოქმედება არ იყო საკმარისი თავდასხმების პრევენციისათვის და პოლიცია არ ატარებდა გამოძიებას იმ პირების მიმართ, რომლებიც, მათი აზრით, ხელმძღვანელობდნენ თავდასხმებს.